

დარგის პოპულარიზაციისა და კომპანიაში ახალგაზრდა ტალანტების მოზიდვის მიზნით ვაგრძელებთ წყალმომარაგება/წყალარინების სისტემების მართვის შესწავლის და დასაქმების მასშტაბურ პროექტს.

პროექტში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ სამშენებლო, ელექტრო ინჟინერიის ან სხვა მონათესავე დარგის ახალ კურსდამთავრებულებს და დამამთავრებელი კურსის სტუდენტებს, ვისაც აქვთ სურვილი განვითარდნენ და ჩამოყალიბდნენ წყალმომარაგების დარგის პროფესიონალებად.

პროექტი ქმნის სასმელი და გამდინარე წყლების მართვის სრული ციკლის შესწავლის შესაძლებლობას წყლის მოპოვებიდან, თითოეული აბონენტის ონკანამდე.

დაინტერესებულ ახალგაზრდებს შესაძლებლობა ეძლევათ დარგის საუკეთესო სპეციალისტების მენტორინგით, თანამედროვე ტექნოლოგიებით და სიმულაციური ოთახებით აღჭურვილ ტრენინგ ცენტრში შეისწავლონ თეორიულ ნაწილი და უშუალოდ საიტზე გაეცნონ სისტემის მუშაობის პრინციპებს, პრაქტიკაში გამოსცადონ მიღებული თეორიული ცოდნა.

3 თვიანი ანაზღაურებადი სტაჟირების წარმატებით დასრულების შემდეგ, მონაწილეებს მიეცემათ კომპანიაში არსებულ ვაკანტურ პოზიციებზე დასაქმების ყველა იმ ბენეფიტით სარგებლობის შესაძლებლობა, რომლითაც ჩვენი გუნდის წევრები სარგებლობენ. ესენია: თემატური ტრენინგები, კარიერული წინსვლის შესაძლებლობა, კონკურენტული ანაზღაურება და სოციალური პაკეტი, და რაც მთავარია, განვითარების მუდმივი შესაძლებლობა პროგრესზე ორიენტირებულ, მეგობრულ გარემოში.

თეორიული და პრაქტიკული სწავლების პროგრამა რამდენიმე მოდულისგან შედგება და მოიცავს ისეთ დისციპლინებს როგორებიცაა:

- ✓ ნედლი წყლის მოპოვებისა და დამუშავების თანამედროვე მეთოდები;
- ✓ სატუმბო სადგურების ექსპლუატაცია;
- ✓ წყალსადენის და წყალარინების ქსელების დიაგნოსტიკა და მოვლა-პატრონობა;
- ✓ ქსელის დისპეტჩერიზაცია;
- ✓ ოპერაციული დაგეგმარება;
- ✓ შრომის უსაფრთხოება

დაინტერესებულ კანდიდატებს გთხოვთ გამოგვიგზავნოთ რეზიუმე მისამართზე: recruitment@gwp.ge არაუგვიანეს 15 ივლისისა. გთხოვთ წერილის თემის გრაფაში მიუთითოთ "წყალმომარაგების სპეციალისტების განვითარების პროექტი"

მიიღე რეალური შესაძლებლობა ისწავლო და დასაქმდე „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნდში“!

გისურვებთ წარმატებას!